პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

№ 29 (2072) კვირა, 21 ივლისი, 1985 წელი. ფასი 2 კაპ.

Газета выходит с 1926 года.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

# НА ЗАСЕДАНИИ КОЛЛЕГИИ МВД ГССР

- О РАБОТЕ НАЧАЛЬСТВУЮЩЕГО СОСТАВА ПОДРАЗДЕЛЕНИЙ ВНЕВЕДОМСТВЕННОЙ ОХРАНЫ МВД ГССР ПО ВОСПИТАНИЮ СОТРУДНИКОВ В СВЕТЕ ПОСТАНОВЛЕНИЯ ВЫШЕСТОЯЩИХ ОРГАНОВ.
- О МЕРАХ ПО УСИЛЕНИЮ БОРЬБЫ С КРАЖАМИ ИЗ КВАРТИР ГРАЖДАН.
- О ХОДЕ ВЫПОЛНЕНИЯ ТРЕБОВАНИЙ ПРИКАЗА МВД СССР «О СОСТОЯНИИ И МЕРАХ ПО УЛУЧШЕНИЮ РАБОТЫ С КАДРАМИ РУКОВОДИТЕЛЕЙ ГОРОДСКИХ И РАЙОННЫХ ОТДЕЛОВ ВНУТРЕННИХ ДЕЛ»
- ОБ ИТОГАХ КОМПЛЕКСНОЙ ПРОВЕРКИ ОПЕРАТИВНО-СЛУЖЕБНОЙ ДЕЯТЕЛЬНОСТИ ГОРИИСКОГО ГОВД.

* * *

На заседании коллегии МВД Грузинской ССР было отмечено, что проводимая начальствующим составом вневедомственной охраны работа по воспитанию сотрудников не в полной мере отвечает требованиям постановления вышестоящих органов, а имеющиеся недостатки отрицательно сказываются на результатах обеспечения охраны государственного, общественного и личного имущества граждан.

Руководители органов и подразделений в воспитательной работе все еще не научились опираться на первичные партийные, профсоюзные, комсомольские организации, другие общественные формирования.

Следует отметить то, что в проводимой на местах воспитательной деятельности не видна направляющая роль работников аппарата УВО МВД ГССР, командируемых в низовые звенья. Их приезды ограничиваются составлением всевозможных справок, тогда как конкретная помощь, устранение недостатков на месте, откровенные беседы с сотрудниками организовываются редко.

На заседании коллегии МВД ГССР был разработан комплекс мероприятий, направленных на дальнейшее улучшение работы руководящего состава органов и подразделений вневедомственной охраны в воспитании личного состава, повышении их персональной ответственности в укреплении дисциплины и соцзаконности.

Был рассмотрен также вопрос «О состоянии и мерах по улучшению работы с кадрами руководителей городских и районных отделов внутренних дел».

Однако коллегия МВД ГССР отмечает, что несмотря на проводимую работу, результаты служебной деятельности органов внутренних дел еще не отвечают предъявляемым требованиям. На состояние оперативно-служебной деятельности отрицательно сказываются серьезные упущения и просчеты в подборе, расстановке, обучении и воспитании начальников ГОРОВД.

На коллегии отмечалось, что руководителям ГОРОВД необходимо создавать условия для плодотворной работы, проявления разумной инициативы и творчества, самостоятельности в пределах предоставленных прав, изжить из практики факты необоснованного перемещения начальников ГОРОВД, а также наказания за незначительные ошибки и просчеты в служебной деятельности.

# არ დავუშვათ შემწყნარებლობა, ვიბრძოლოთ აქტიურად და მიზანმიმართულად

პირველ ნახევარწლეულში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შეჯამებას მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული თათბირი.

თათბირზე მოწვეული იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების, ზოგიერთი სამინისტროს და უწყების ხელმძღვანელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

თათბირის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, გ. დ. გაბუნია, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, დ. დ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, ფ. ს. ხანაკოევი, ჟ. კ. შარტავა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

მოისმინეს ინფორმაცია ექვსი თვის მანძილზე დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების შედეგების შესახებ.

განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ი. ალავიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი, ქალაქ ქუთაისის ავტოქარხნის რაიონული აღმასკომის თავმჯდომარე ც. ვ. სანოძე, საქართველოს კომპარტიის თიანეთის რაიკომის პირველი მდივანი შ. ლ. ქისტაური, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი ვ. კ. ბალავაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსი გ. გ. შალამბერიძე, ბორჯომის რაიონის პროკურორი გ. გ. გოგოლაძე.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

# ამხანაგ ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა

**ამხანაგებო!**

დღეს ჩვენ იმისათვის შევიკრიბეთ, რომ შევაჯამოთ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შედეგები.

რესპუბლიკაში სამართალდაცვითი საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის, კოორდინაციისა და კონტროლის ბოლო წლებში ჩამოყალიბებულმა სისტემამ, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნულა, მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება. ეს სისტემა საშუალებას გვაძლევს მუდამ ვფლობდეთ ვითარებას, ოპერატიულად ვახდენდეთ გავლენას მიმდინარე პროცესებსა და წარმოქმნილ ტენდენციებზე.

დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოები, სამართალდაცვითი ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები. დადებითს შედეგებს აღწევენ რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფები და კომისიები ამხანაგების ნ. ა. ჭითანავას, ო. ე. ჩერქეზიას, ვ. მ. სირაძის, გ. ა. ანჩაბაძის მეთაურობით.

ერთი სიტყვით, სისტემა მოქმედებს და საგრძნობი შედეგები მოაქვს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ამხანაგ ა. მ. რეკუნკოვის ანგარიშში აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მიმდინარე მუშაობა.

ამოცანა ის არის, რომ კვლავაც სრულვყოფდეთ ამ მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, აღმოვფხვრიდეთ ფორმალიზმის გამოვლინებებს, ნაკლოვანებებს, ხარვეზებსა და დარღვევებს, რომლებსაც ჯერ კიდევ ვაწყდებით დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის ყოველმხრივ განმტკიცების კურსის განხორციელებისას.

დღეს გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ის პოზიტიური მომენტები, რომლებიც ახასიათებს ოპერატიულ ვითარებას მიმდინარე წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით.

ეს კარგი საფუძველია იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ დამნაშავეობის, სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა და წარმატებით დავამთავროთ მიმდინარე წელი. მაგრამ ნიადაგ უნდა ვიღვაწოთ მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის, ყოველნაირად ავამაღლოთ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური, აღმზრდელობითი, ადმინისტრაციული, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დონე. ეს მით უფრო საჭიროა, რომ გასული ექვსი თვის მანძილზე თავი იჩინა მთელმა რიგმა ნეგატიურმა ტენდენციებმა, რომლებიც უაღრესად საგულდაგულო ანალიზსა და ასეთი ანალიზის საფუძველზე კონკრეტული და ეფექტიანი ღონისძიებების შემუშავებას მოითხოვს.

რა არის ამისათვის საჭირო?

ჯერ ერთი, **უნდა მივაღწიოთ დამნაშავეობის შემცირებას იმ გზით, რომ კიდევ უფრო გავააქტიუროთ მუშაობა მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების, სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, ეკონომიკის სფეროში დანაშაულისა და ბოროტმოქმედების, სხვა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის.**

ეს ახალი მოთხოვნა როდია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ უსახავდა მიზნად პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და ადმინისტრაციულ ორგანოებს ამ მუშაობის ძირეულ სრულყოფას, მოითხოვდა დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, სხვა დანაშაულობათა ადრეული პროფილაქტიკის უზრუნველყოფას. ჩვენ კვლავაც განუხრელად განვახორციელებთ ამ გეზს.

გარდა ამისა, მინდა შევახსენო ამხანაგებს, რომ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ანგარიშის გამო მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ ჩვენი ქვეყნის პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ უპირველეს ამოცანად დაუსახა **დანაშაულობათა პროფილაქტიკისათვის მუშაობის ყოველმხრივ სრულყოფის საჭიროება.** ასე რომ, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკა, ისევე როგორც წინათ, სამართალდაცვითი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად რჩება. ამ მუშაობის თვისებრივი გაუმჯობესება საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ წარმოქმნილი გართულებანი, მივაღწიოთ რესპუბლიკაში დამნაშავეობის თანამიმდევრულ შემცირებას და მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომ გაჯანსაღებას.

მეორე, **მთელ ჩვენს შემდგომ მუშაობაში უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, რომ ზოგიერთი დანაშაულის მიხედვით დაშვებულია სერიოზული ჩავარდნა: გახშირდა მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღური თავდასხმები, იარაღის გატაცების შემთხვევები, იმატა ცეცხლის წაკიდების, არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა რიცხვმა.**

ვთხოვთ ამხ. ო. ე. ჩერქეზიას განათლების სამინისტროსთან, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და პროკურატურასთან ერთად ყურადღებით გაერკვეს გართულებათა მიზეზებში და დასახოს შესაბამისი ღონისძიებანი.

შემდეგ, ბევრ რეგიონში საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობა კვლავ რთული და ძალზე შემაშფოთებელია. თანაც ზოგიერთი ქალაქი და რაიონი არაერთხელ დაუსახელებიათ ისეთსავე თათბირებზე, როგორიც დღეს გვაქვს, სადაც მათი ხელმძღვანელები სერიოზულად გაუკრიტიკებიათ.

ვერ ვიტყვით, რომ ამხანაგებს ჯეროვანი დასკვნები არ გამოეტანოთ ამ კრიტიკიდან. მაგალითად, თბილისის საქალაქო კომიტეტი, პარტიის რაიონული კომიტეტი, სამართალდაცვითი ორგანოები საკმაოდ დიდ მუშაობას ეწევიან გლდანის რაიონში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. ამის შედეგად აქ ივნისში გაუმჯობესდა დანაშაულობათა გახსნა, კლებულობს მათი რიცხვი. მაგრამ ჯერჯერობით წლის დამდეგიდან დაშვებული ჩამორჩენა მთლიანად არ არის დაძლეული. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს დროში აქ ვითარება სტაბილური გახდება.

დამაფიქრებელია ვითარება, რომელიც რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში შეიქმნა. ქარელის რაიონში, მაგალითად გაიზარდა მძიმე დანაშაულობების, მკვლელობების, ყაჩაღობის, ქურდობის რიცხვი, გაუარესდა გახსნის მაჩვენებლები. ახლახან ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ განიხილა ამ რაიონის სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობა და არადამაკმაყოფილებლად ცნო იგი. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი კრიტიკის შემდეგ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ხუთი თვის შედეგების შეჯამებისას პარტიის ქარელის რაიკომის ბიურომ მთლიანად პრინციპულად განიხილა შესაბამისი ხელმძღვანელი მუშაკების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი, თანამდებობიდან გაათავისუფლა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი გ. ნ. მარლიშვილი და დამზადების რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე ა. შ. ვარძელაშვილი, მკაცრად დაისაჯნენ პროკურორი ვ. ი. კაცანაშვილი, სახალხო მოსამართლე ა. გ. სისაური და სხვა მუშაკები.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიუთითა პარტიის რაიონულ კომიტეტს, ამხანაგ ო. რ. კოლასონიას, რაიაღმასკომს, ამხანაგ ტ. ს. ხანიშვილს, რომ რაიონში უშეღავათოდ არ ებრძვიან ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენებს. მათ წინადადება მიეცათ **უფრო მწვავედ მოახდინონ რეაგირება სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესებისაგან ყოველგვარ გადახრაზე, გამოიჩინონ პრინციპულობა და შეურიგებლობა პირებისადმი, რომლებიც ურიგდებიან ბოროტმოქმედებას, ილვაწონ რაიონში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის განუხრელი გაჯანსაღებისათვის.**

არ შვენის და არც არის გორის საქალაქო პარტორგანიზაციის ტრადიციებში ჩამორჩენილთა შორის ყოფნა. მაგრამ, სამწუხაროდ, აქ ჯერჯერობით კვლავ იზრდება ქურდობის რიცხვი. დანაშაულობათა გახსნის მაჩვენებლები გორის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია რესპუბლიკაში. გაუხსნელია პირადი ქონების ქურდობისა და სახელმწიფო საკუთრების ქურდობის შემთხვევების თითქმის ნახევარი. მდგომარეობას ართულებს ის, რომ სტატისტიკა, რომელიც ისედაც არადამაკმაყოფილებელია, არ ასახავს რეალურ ოპერატიულ ვითარებას.

კომპლექსური საინსპექტორო

(გაგრძელება მე-2 გვ).

# არ დავუშვათ შემწყნარებლობა, ვიბრძოლოთ აქტიურად და მიზანმიმართულად

(გაგრძელება).

შემოწმების დროს, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამხ. გ. ი. გვეტაძე, გამოვლენილია ერთობ უხეში დარღვევები და ნაკლოვანებანი, მათ შორის სახელმწიფო აღრიცხვისაგან დამალული რამდენიმე დანაშაულიც.

როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია შესაბამის შეფასებას მისცემს ყველა ამ ალმაშფოთებელ ფაქტს. ვფიქრობთ, რომ შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსთან ამხ. ლ. ი. ხაბაშვილთან ერთად პასუხი ამ დარღვევებისათვის უნდა აგოს ქალაქის პროკურორმა ამხ. მ. ნ. ჩუბინიძემაც, რომელმაც ვერ უზრუნველყო ჯეროვანი ზედამხედველობა მილიციის საქალაქო განყოფილების საქმიანობისადმი.

მთავარი კი ის არის, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, რესპუბლიკის პროკურატურის საერთო შეცადინეობით **განხორციელდეს ყველაზე ოპერატიული და დაუყოვნებლივი ღონისძიებანი ქალაქის ადმინისტრაციულ ორგანოებში ჯეროვანი წესრიგის დამყარებისათვის და დანაშაულობათა პროფილაქტიკისა და ალკვეთის დარგში მუშაობის გაძლიერებისათვის.**

ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა შემდეგი. კარგია, როცა მინისტრი პირადად მეთაურობს ბრიგადას, რომელიც ინსპექციას უწევს შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილებას. როგორც ჩანს, არანაკლებ სასარგებლო იქნება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის, იუსტიციის სამინისტროს, უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელები დროს პოულობდნენ **არა მარტო შემოწმებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ღრმად გაეცნონ საქმის ვითარებას ამა თუ იმ რეგიონში და შესაბამისი კონკრეტული დახმარება გაუწიონ ადგილობრივ ხელმძღვანელებს.**

მართალია, შეიძლება თქვან, რომ ხელმძღვანელი მუშაკები ისვდაც მიმაგრებული არიან მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების ჯგუფებს ზონების მიხედვით, მაგრამ საქმე ეხება იმას, რომ ამ მუშაობაში აქტიურად ჩაებან პირველი პირებიც. რაც შეეხება კოლეგიების წევრთა ზონალურ მიმაგრებას, ხშირად იგი ამოიწურება ხანმოკლე ჩასვლით თათბირების მოსაწყობად. ზონის ასეთი კურირების ეფექტიანობა მცირეა. ველით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, უმაღლესი სასამართლო გაითვალისწინებენ ამ შენიშვნებს, მიიღებენ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს და აცნობებენ მათ ცენტრალურ კომიტეტს.

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვა პრობლემებთან ერთად ქალაქ მარნეულისა და მისი რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე სერიოზული სჯა-ბაასი გაიმართა მართლწესრიგის განმტკიცების პრობლემებზეც. ამხანაგები ვ. ი. ლომაძე და ქ. ს. მამედოვი უკვე აქტიურად შეუდგნენ აქტივის კრების გადაწყვეტილებების, გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების, სურვილებისა და წინადადებების განხორციელებას და აქ იმედი გვაქვს, რომ პარტიულ კომიტეტებს დახმარებას და მხარდაჭერას გაუწევენ რესპუბლიკური სამართალდაცვითი ორგანოები.

წესრიგის განმტკიცების საკითხებს უდიდესი ყურადღება უნდა დაეთმოს აგრეთვე თიანეთის, ყაზბეგის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, ბორჯომისა და წალენჯიხის რაიონებში, ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონში, გუდაუთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

სამწუხაროდ, ჩამოთვლილი რაიონებიდან ყველგან როდი ვხედავთ ჯეროვან აქტიურობას. მაგალითად, სუსტად აკოორდინირებენ ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას ბორჯომის რაიონში. რაიაღმასკომის ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის, არასრულწლოვანთა საქმეების, მოძრაობის უსაფრთხოებისა და სხვა კომისიები უინიციატივოდ მუშაობენ, ხშირად ფორმალურად ეკიდებიან საკითხების გადაწყვეტას. უაღრესად ნელი ტემპით იწყება აქ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიის მოთხოვნების რეალიზაცია, ამ მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, რაც განსაკუთრებით შეუწყნარებელია ისეთი საკურორტო რეგიონისათვის, როგორიც ბორჯომის რაიონია. პარტიის რაიკომთან არსებული დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიამ ჯერ ვერ მიაღწია რაიონში სამართალდაცვითი მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას, მას ზოგჯერ აკლია კონკრეტულობა და მეტევითობა.

ვიმედოვნებთ, რომ დღევანდელ კრიტიკას მხედველობაში მიიღებენ, და პარტიის რაიონული კომიტეტი, რაიაღმასკომი აქტიურ საქმიანობას გააჩაღებენ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1985 წლის ივლისის პლენუმმა, მორიგი სესიის გადაწყვეტილებებმა დაადასტურეს, რომ პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი **კვლავაც განაგრძოს დისციპლინის, ორგანიზებულობის განმტკიცებისა და პასუხისმგებლობის გადიდების გეზი.**

პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვა-შენახვის, მექრთამეობის, სხვა ბოროტმოქმედებათა აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის მუშაობის სრულყოფას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო შეუნელებელ ყურადღებას უთმობს ამ პრობლემებს, სისტემატურად ისმენს მინისტრების და უწყებათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებსაც ისინი ახორციელებენ დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის. **ამ მუშაობას კვლავაც ახევე მტკიცედ და პრინციპულად განვაგრძობთ.**

სამწუხაროდ, ჩვენი მოთხოვნა, რომ უნდა გამკაცრდეს კონტროლი, გაიზარდოს შესაბამის თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა, მთლიანად არ ხორციელდება, მას არ აცნობენ ძირეულ რგოლებს. სულ ახლახან სამეურნეო ხელმძღვანელობის ყურადღება მივაპყარით იმას, რომ უნდა გაძლიერდეს კონტროლი სამრავლებელი ტექნიკის მუშაობისადმი იმასთან დაკავშირებით, რომ ამხილეს დამნაშავენი, რომლებიც ამზადებდნენ კარაქის დიდძალ ყალბ ტალონებს. სულ ახლახან კვლავ გამოვლინდა ანალოგიური შემთხვევა. მშენებლობის სამინისტროს სამრავლებელი აპარატურის ჯგუფის ხელმძღვანელი ციმაკურიძე დააპატიმრეს იმ მომენტში, როცა ამრავლებდა „თბილისის" მარკის კონიაკის ყალბ ეტიკეტებს. მას ჩამოართვეს ორი ათასი ასეთი ყალბი ეტიკეტი. სხვათა შორის სერიოზულად უნდა გავერკვეთ იმაში, თუ როგორ ანდეს მანამდე ნასამართლევ პირს სამრავლებელი ტექნიკა.

როგორც ჩანს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა უნდა განსაზღვროს იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა, რომლებმაც დანიშნეს სახელმწიფო ქონების ქურდობისათვის მანამდე ნასამართლევი ვინმე მაჭავარიანი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს დატვირთვა-გადმოტვირთვის კანტორის მოლარის თანამდებობაზე. ეს ცნობილი გახდა 26 ივნისს, მას შემდეგ, რაც გაქრა სახბანკში კანტორის თანამშრომლებისათვის ხელფასის გასაცემად მიღებული დიდი თანხა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ამხანაგმა გ. შ. კვანტალიანმა, ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველომ, ამხანაგებმა დ. ვ. სალარიძემ, დ. გ. მიქაძემ პირადად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ დანაშაულის გახსნას, რომლის შედეგადაც სახელმწიფოს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების მოსავლის აღების, გადაზიდვისა და შენახვის დროს ქურდობისაგან, დატაცებისაგან, ხანძრებისა და სხვა დანაკარგებისაგან მისი დაცვის უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვან ამოცანებს წყვეტენ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისა და ადგილობრივი სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები.

შარშან აგვისტოში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ვრცელი დადგენილება, რომელშიც განსაზღვრულია აგროსამრეწველო კომპლექსში სოციალისტური საკუთრების დაცვის შემდგომი გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი. როგორც ჩანს, მიზანშეწონილი იქნება, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროკურატურამ, პარტიის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა კოლეგიების და ბიუროების სხდომებზე განიხილონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და დასახონ შესაბამისი ღონისძიებანი.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ისეთი ხანძრების გაჩენის შესაძლებლობა, როგორიც მოხდა შარშან წითელწყაროს რაიონის დიდ ფართობებზე, სადაც პურეული მთლიანად დაიწვა.

არ უნდა დავუშვათ, რომ საქმოსნები კვლავ ცდილობდნენ „ხელი მოითბონ" სხვადასხვა კომბინაციებზე, ეგრეთ წოდებულ უსაქონლო და სხვა ოპერაციებზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და გადამუშავების ობიექტებზე.

სხვათა შორის, საქმოსნების შესახებ. მიუხედავად უმკაცრესი ღონისძიებებისა, რომლებსაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს საეჭვო პირების მატერიალურად პასუხსაგებ და სხვა თანამდებობებზე დანიშვნისას უპრინციპობის გამოვლინების ყოველი ფაქტის გამო, ასეთი ფაქტები კვლავ არის. ერთმა საქმოსანმა მოახერხა გამძვრალიყო ახმეტის საკონსერვო ქარხნის დირექტორის თანამდებობაზე, მეორეს — მეღვინეს ისეთი კეთილშობილური საქმე მიანდეს, როგორიც შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდაა, და სამხატვრო აკადემიის პრორექტორის სავარძელი დაუთმეს.

ჩვენ დავავალეთ პარტიულ კომისიას ყურადღებით შეისწავლოს აღნიშნული ფაქტები და შემოიტანოს ისინი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განსახილველად. ამ ფაქტებს ყველაზე პრინციპული შეფასება უნდა მივცეთ.

სავანგებოდ მინდა შევეხო მექრთამეობის, წარსულის ამ სამარცხვინო გადმონაშთის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. ამაზე განსაკუთრებით უნდა ითქვას. ბოლო დროს სულ უფრო ხშირად ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი ქრთამისა და მექრთამეობის შესახებ. და ეს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ არის. ბრძოლა მექრთამეობის წინააღმდეგ საერთოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ცნობილია, რომ მექრთამეობის წინააღმდეგ მტკიცე და მკაცრი ბრძოლის საჭიროება არაერთხელ აღუნიშნავს ვ. ი. ლენინს. იგი წერდა: „...თუ კი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ კიდევ პოლიტიკის ნასახიც არ არის. აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდული დარჩება და სრულიად არავითარ შედეგს არ მოიტანს".

მინდა დღეს მოვიყვანო ვ. ი. ლენინის ერთი წერილი, რომელიც იმასთან დაკავშირებით დაწერა, რომ მოსკოვის რევოლუციურმა ტრიბუნალმა, რომელმაც 1918 წლის 2 მაისს განიხილა მექრთამეობასა და შანტაჟში მოსკოვის საგამოძიებო კოლეგიის ოთხი თანამშრომლის ბრალდების საქმე, სასჯელის მსუბუქი ღონისძიება შეუფარდა მათ.

აი ეს წერილი:

„რკპ (ბ. კ-ს, გთხოვთ დღის წესრიგში დააყენოთ პარტიიდან მისი იმ წევრების გარიცხვის საკითხი, რომლებიც, იყვნენ რა მოსამართლეებად მექრთამეთა საქმეზე (2.V.1918), სადაც ქრთამის აღება დამტკიცდა და მექრთამეებმაც აღიარეს, მაინც დაკმაყოფილდნენ 1/2 წლის პატიმრობის განაჩენით.

მექრთამეთა დახვრეტის ნაცვლად ასეთი აბუჩადამგდებად სუსტი და რბილი განაჩენების გამოტანა **სამარცხვინო** საქციელია კომუნისტისა და რევოლუციონერისათვის. ამნაირი ამხანაგები უნდა **ვდევნოთ** ხაზოგადოებრივი აზრის სამსჯავროთი და **გავრიცხოთ პარტიიდან**, რადგან მათი ადგილია კერენსკებისა და მარტოვების გვერდით და არა რევოლუციონერ-კომუნისტთა გვერდით.

„ლენინი".

4.V. 1918

შემიძლია დავძინო, რომ ვ. ი. ლენინის დაჟინებული მოთხოვნით სრულიად საკავშირო ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასინჯა საქმე: სამ ბრალდებულს მიუსაჯეს 10 წლის პატიმრობა თითოეულს.

ინტერესს მოკლებული არ არის ისიც, რომ ცენტრალური კომიტეტისადმი წერილთან ერთად ვ. ი. ლენინმა იუსტიციის სახალხო კომისარს დ. ი. კურსკის გაუგზავნა ბარათი, რომელშიც მოითხოვა **„იმწამსვე**, დემონსტრაციული სისწრაფით შეიტანეთ კანონპროექტი, რომ ქრთამისათვის... სასჯელი უნდა იყოს **ხულ ცოტა** ათი წლის პატიმრობა და, გარდა ამისა, ათი წლის იძულებითი სამუშაოები".

სახალხო კომისართა საბჭომ ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1918 წლის 4 მაისს მიიღო დადგენილება, რომლითაც დაევალა იუსტიციის სახალხო კომისარიატს შეემუშავებინა მექრთამეობისა და მექრთამეობასთან ყოველგვარი კავშირისათვის სასჯელის მაღალი მინიმუმის შესახებ დეკრეტის პროექტი, ხოლო 8 მაისს, ოთხი დღის შემდეგ, „დეკრეტი მექრთამეობის შესახებ" დაამტკიცეს.

ისტორიაში იმისათვის ჩავიხედე, რომ განსაკუთრებით გამესვა ხაზი, თუ რაოდენ საჭირბოროტოა დღეს მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა.

ქრთამი საშინელი სენია, იგი ჰგავს ავთვისებიან სიმსივნეს საზოგადოების ჯანსაღ ორგანიზმზე, იგი პირდაპირ ჭამს ადამიანის სულს, ხრწნის პიროვნებას. ქრთამი გამოუსწორებელ ზიანს აყენებს არა მარტო დღევანდელ, არამედ ხვალინდელ დღესაც, იგი წამლავს საბჭოთა ადამიანების მომავალ თაობებს.

წარმოიქმნება ერთგვარი ჯაჭვური რეაქცია. თუ მოსწავლემ დღეს იცის, რომ ხუთოსანი გახდა არა საკუთარი ცოდნის, არამედ იმ საჩუქრების წყალობით, რომლებიც მის მშობლებს მიაქვთ მასწავლებლებისათვის; თუ აბიტურიენტი სტუდენტი გახდა ქრთამით, რომელიც ჯიბეში ჩაუდეს საგამოცდო კომისიის წევრს; თუ ეს სტუდენტი შემდეგ კურსიდან კურსზე გადადის მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ამისათვის ფულს უხდის თავის მასწავლებელს, **მისგან არასოდეს გამოვა კარგი სპეციალისტი, პროფესიონალი, არ გამოვა წესიერი ადამიანი, რომელიც საკუთარი შრომით, პატიოსნად მოპოვებული ფულით იცხოვრებს.**

ქრთამი ამახინჯებს ადამიანების ცხოვრებას.

სწორედ ამიტომ ჩვენ, ამხანაგებო, უნდა ვებრძოლოთ მექრთამეობის ყოველგვარ გამოვლინებებს, მის ყველა სახეობას — გამოძალვას სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მაღაზიებსა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში, სახლთმმართველობებსა და სოცუზრუნველყოფის ორგანოებში, საწარმოებში და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და, ბოლოს, ადმინისტრაციულ ორგანოებში.

**ზოგჯერ** ქრთამს არც ისე იოლად, არც ისე უბრალოდ ამოაჩენ. იგი იმალება, თავის სახეს ფარავს უბრალოდ გაწეული სამსახურის, თავაზიანობის, მეგობრული თანაგრძნობის ნიღბით.

უნდა ვიცოდეთ მისი გამოცნობა, გამოვლენა, მხილება და გამოაშკარავება.

ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ამის უნარი უნდა შევწევდეთ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებს.

სიღნაღის რაიონთან, ნავთობპროდუქტების უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტთან, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან დაკავშირებული და მთელი რიგი სხვა ყველასათვის ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა გამო ახლა ძიება წარმოებს, ცხადყოფს, რომ **მექრთამეობა, კორუფცია, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება წარმოიშობა იქ, სადაც კლებულობს მომთხოვნელობა, სადაც უშვებენ სერიოზულ შეცდომებს კადრების, მათ შორის ხელმძღვანელი რგოლის კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში.**

ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში დაუშვებელია შემწყნარებლობა. როგორც ვ. ი. ლენინი წერდა, „არ უნდა არსებობდეს რაიმე სანტიმენტალობა. სანტიმენტალობა ნაკლები დანაშაული არაა, ვიდრე თავკერძობა ომში. ვინც ახლა დისციპლინის წესს არღვევს, ის კარს უღებს მტრებს თავის წრეში".

„საჭიროა, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მოწინავე მუშების მასობრივი „ჯვაროსნული ლაშქრობა"... სპეკულაციის, მექრთამეობის... შეიარაღებული მოსპობისათვის".

ასე გვასწავლიდა ლენინი.

ასეც მოვიქცევით!

რამდენიმე დღის წინათ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXIII პლენუმზე ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულებას ვიწყებდით ყველა დონეზე და ყველა რგოლში დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცებით.

შეგახსენებთ: უკვე 1972 წლის 1 ნოემბერს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ედუარდ ამბროსის ძემ ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასახა მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანა და **მთელი ამ წლების მანძილზე ეს ბრძოლა არ შემწყდარა!**

**ჩვენ ამ მხრივაც არ ვუღალატებთ მემკვიდრეობითობას.** და რაკი მემკვიდრეობითობა ლენინური გაგებით უცილობელ წინსვლას ნიშნავს, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველმხრივ განვავითარებთ და ვაწარმოებთ უკომპრომისოდ, გადაჭრით აღმოფხვრით ამ სოციალურ ბოროტებას.

დღეს ლაპარაკი იყო იმაზე, თუ რა მუშაობას ეწევიან პარტიული კომიტეტები ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, როგორ ახორციელებენ ლოთობისათვის კომუნისტების პასუ-

(დასასრული მე-3 გვ.)

# არ დავუშვათ შემწყნარებლობა, ვიბრძოლოთ აქტიურად და მიზანმიმართულად

ხისმგებლობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 7 მაისის დადგენილების მოთხოვნებს. ეს მოგვახსენა ამხანაგმა შ. ვ. ყარყარაშვილმა. სხვა გამოსულმა ამხანაგებმაც ილაპარაკეს ამის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით მინდა კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რომ ჩვენ **მტკიცედ და თანამიმდევრულად განვახორციელებთ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის გამიზნულ პარტიის კურსს.** და ნურავის ექნება ამ მხრივ რაიმე შეწყნარების იმედი.

რა თქმა უნდა, განხორციელებულ ღონისძიებებს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საქონელბრუნვისა და საკასო გეგმებზე. მაგრამ ღვინისა და არყის ნაწარმის გამოშვებისა და რეალიზაციის შემცირებასთან დაკავშირებულ ობიექტურ მიზეზებთან ერთად არ უნდა გამოვრიცხოთ შესაძლო ბოროტმოქმედებანი, რომლებიც დაკავშირებულია აღურიცხავი სპირტიანი სასმელების გასაღების გზების ძიებასთან.

ამიტომ ვთხოვთ ამხანაგებს მ. მ. ქაჯაიასა და კ. ნ. შავიშვილს ყურადღებით გაერკვნენ ამ საქმეში და გაამკაცრონ კონტროლი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებისადმი, ხოლო ამხანაგმა შ. ვ. გორგოძემ მიზნად უნდა დაუსახოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის აპარატებს ამგვარ ბოროტმოქმედებათა გამოვლინება, აღკვეთა და თავიდან აცილება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობაში, როგორც ცნობილია, დიდი ადგილი დაიკავა ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების საკითხის განხილვამ. სესიაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების პირობებში ბუნებადაცვით საქმიანობას უპირველესი მნიშვნელობა აქვს.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს.

ამხანაგებო!

ზემოთ აღვნიშნეთ ბევრი პოზიტიური ძვრა, რომლებსაც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში მივაღწიეთ ამ ამოცანათა გადაწყვეტისადმი სისტემური მიდგომის მეოხებით. რა თქმა უნდა, ამ ფრიადმნიშვნელოვან საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს სამართალდამცავმა ორგანოებმაც, რომელთა ოპერატიულობის, სიმტკიცისა და პრინციპულობის წყალობით აღიკვეთა და გაიხსნა ბევრი დანაშაული.

მაგრამ კვლავინდებურად გვაწუხებს ამ ორგანოების თანამშრომელთა შორის კერძომესაკუთრული, მომხვეჭელური ფსიქოლოგიის გამოვლინების ფაქტები.

ამას წინათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შემოვიდა განცხადება, რომელშიც ლაპარაკი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკის, განყოფილების უფროსის, პოდპოლკოვნიკ ა. ე. მაჭავარიანის საძრახისი საქმეებისა და უღირსი საქციელის შესახებ.

შემოწმებით დადასტურდა, რომ მილიციაში მუშაობის მთელი რიგი წლების მანძილზე მაჭავარიანი უკანონოდ სარგებლობდა სხვადასხვაგვარი მატერიალური სიკეთით, უფრო მეტად ზრუნავდა საკუთარი კეთილდღეობისათვის, ვიდრე თავისი პარტიული და სამსახურებრივი მოვალეობის უზადო შესრულებისათვის. სხვადასხვა მაქინაციით მან მიაღწია იმას, რომ ცრუმაგიერი პირისათვის გამოეყოთ კოოპერაციული ბინა თავისი ბინის გვერდით, რომლებიც შემდეგ გააერთიანა. ავტომობილი „ჟიგული" აჩუქა შვილს, თვითონ კი გასული წლის დამლევს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეიძინა „ვოლგა" გაზ-24.

უღირსი საქციელისათვის, ფალსიფიკაციისა და მაქინაციებისათვის იგი დაითხოვეს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. მკაცრად უნდა ვაგებინოთ მას პასუხი პარტიული ხაზითაც. და ამას ხელი უნდა მოჰკიდოს ჩვენმა პარტიულმა კომისიამ.

სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. გ. შალამბერიძემ დღეს ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო ახორციელებს პირად შემადგენლობაში დისციპლინის განმტკიცებისათვის, სახელმწიფო ავტოინსპექციაში მექრთამეებისა და გამომძალველების გამოვლენისა და მხილებისათვის. შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ ასეთ შეტევითს მიდგომას, რომლის შედეგად 2 ივლისს სახელმწიფო ავტოინსპექციის მლეთის საგუშაგოზე საგზაო-საპატრულო სამსახურის თანამშრომლები ამხილეს დანაშაულში — ისინი ხელს უწყობდნენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დიდძალი პამიდვრის უკანონო გატანას, რისთვისაც დიდი თანხა მიიღეს.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ვიწონებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ღონისძიებებს მექრთამეთა მხილებისათვის, მთლიანად ვუჭერთ მათ მხარს. ასე უნდა მოვიქცეთ შემდგომშიც.

მაგრამ უნდა ჩავწვდეთ მთავარს. საიდან აღმოაჩნდათ უმცროს სერჟანტებს ორველაშვილს და ამირანაშვილს პირადი ავტომობილები. რატომ გადაიყვანეს გასული წლის დამლევს ორველაშვილი, გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის მკვიდრი, გურჯაანის ქვედანაყოფიდან მლეთის საგუშაგოზე, რომელიც 259 კილომეტრით არის დაშორებული მისი სახლიდან.

ჩვენ გვაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაბამისი სამსახურები, არიან ხელმძღვანელები, რომლებიც პასუხს აგებენ ამისათვის. ვის დასჭირდა გადაეყვანა მუშაკი ასე შორს თავისი სახლიდან, ოჯახიდან?

ამ საკითხებში ბოლომდე უნდა გაერკვნენ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პროკურატურის ხელმძღვანელები, მათი პარტიული ორგანიზაციები, პოლიტიკური ორგანოები. ამოცანა ის არის, რომ არა მარტო ვამხილოთ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები მექრთამეობაში, არამედ აგრეთვე **დროულად შევნიშნოთ და თავიდან ავიცილოთ იმ თანამშრომელთა მომხვეჭელური აზროვნებისა და ცხოვრების ფორმირება, რომლებიც თავიანთი სამსახურის მოვალეობით ვალდებული არიან იბრძოლონ მექრთამეობის, სპეკულაციის, კერძომეწარმეობითი საქმიანობის, უშრომელი შემოსავლის მიღების წინააღმდეგ.**

საზოგადოებრივი აზრის თანახმად, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა რამდენადმე გააქტიურდა. ამავე დროს გამოკითხულთა 37 პროცენტს მიაჩნია, რომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაძლიერდეს ადმინისტრაციული ორგანოების ბრძოლა მომხვეჭელური ფსიქოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ. ამასთან გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამბობს, რომ ნეგატიური მოვლენები ფართოდ არის გავრცელებული თვით ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს შორის. გამოკითხვის შედეგების შესახებ უფრო დაწვრილებით ვილაპარაკებთ კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემებისადმი მიძღვნილ იდეოლოგიურ მუშაკთა რესპუბლიკურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე, რომელიც შეიმუშავებს ამ მხრივ შესაბამის რეკომენდაციებს.

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის მოთხოვნები, ივლისის პლენუმის და უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებანი, რომელმაც განიხილა მართლწესრიგის და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საკითხები, ახალ ამოცანებს უსახავს ჩვენს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს. თითოეულმა უნდა აკეთოს თავისი საქმე, ინიციატივიანად, ნოვატორულად ეკიდებოდეს აქტუალური პრობლემების გადაჭრას და პასუხს აგებდეს მისთვის მინდობილი მუშაობის უბნისათვის. **„ის ვისაც არ ეპრიანება გარდაქმნა,** ხაზგასმით აღინიშნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ლენინგრადში გამოსვლისას, — **უფრო მეტიც—ვინც აბრკოლებს ახალი ამოცანების გადაწყვეტას, ის უბრალოდ უნდა ჩამოგვეცალოს გზიდან, არ გვებლანდებოდეს ფეხებში".**

ასეთია დღევანდელობის მოთხოვნა. ასეც უნდა ვიქცეოდეთ.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის არჩევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად, მისი დანიშვნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მაღალ პოსტზე პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე მისი დიდი დამსახურების აღიარება გახდა. ამავე დროს ეს არის საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობისა და ნოვატორული სულისკვეთების აღიარება, ორგანიზაციისა, რომელსაც იგი ცამეტი წლის მანძილზე მეთაურობდა.

და ჩვენ ვალდებული ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა **შევინარჩუნოთ, განვავითაროთ, და გავაღრმაოთ დისციპლინის, სოციალისტური მართლწესრიგისა და კანონიერების განმტკიცებისათვის სისტემური მუშაობის პრაქტიკულად გამომდგარი ფორმები და მეთოდები.** ასეთი ამოცანები აქვთ დასახული პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს, მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს, სამართალდამცავ ორგანოებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სამინისტროებსა და უწყებებს, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებს.

**ნება მიბოძეთ გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ღირსეულად გაართმევს თავს ყველა ამ ამოცანას და კიდევ უფრო აქტიურად გააჩაღებს ბრძოლას ყველგან და ყველაფერში წესრიგის დამყარებისათვის.** (საქინფორმი).

# И ВНОВЬ—ПОБЕДИТЕЛИ

**ЗА ДОСТИГНУТЫЕ УСПЕХИ В ОБЕСПЕЧЕНИИ БЕЗОПАСНОСТИ ДОРОЖНОГО ДВИЖЕНИЯ, СПОСОБСТВУЮЩИЕ СОКРАЩЕНИЮ АВАРИЙНОСТИ В РЕСПУБЛИКЕ, УПРАВЛЕНИЕ ГОСАВТОИНСПЕКЦИИ ГРУЗИНСКОЙ ССР ВТОРОЙ РАЗ ПОДРЯД УДОСТОЕНО ВЫСОКОЙ НАГРАДЫ — ПЕРЕХОДЯЩЕГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ КОЛЛЕГИИ МВД СССР И ПРЕЗИДИУМА ЦК ПРОФСОЮЗА РАБОТНИКОВ ГОСУЧРЕЖДЕНИЙ.**




Высокая награда — результат последовательной и напряженной работы всех звеньев госавтоинспекции и дорожно-патрульной службы.

Больших успехов в работе добились ГАИ МВД Абхазской АССР и МВД Аджарской АССР, УВД Тбилисского, Кутаисского горисполкомов, Ахалкалакского, Гардабанского, Гегечкорского, Душетского, Зугдидского районов.

Особенно следует отметить хорошую работу сотрудников Управления ГАИ, а также городских и районных подразделений ГАИ. Среди них — полковник милиции Г. Зурашвили, подполковник милиции С. Саришвили, майор милиции Ю. Мураделп из Управления ГАИ МВД ГССР, майор милиции М. Анджапаридзе — начальник ГАИ МВД Абхазской АССР, полковник милиции И. Джанелидзе — начальник ГАИ МВД Аджарской АССР, майор милиции А. Гиоргидзе — начальник ГАИ УВД Тбилгорисполкома, капитан милиции Г. Зивзивадзе — начальник ГАИ УВД г. Кутаиси, старший лейтенант милиции Д. Цоцколаури — заместитель начальника регистрационно-экзаменационного отделения ГАИ МВД ГССР, А. Сурманидзе — инспектор ДПС Батумского ГОВД, К. Шарашидзе — инспектор ДПС УВД г. Тбилиси и другие.

* * *

**Данные статистики: За 1983—1984 годы количество дорожно-транспортных происшествий в республике сократилось на 3,4 процента. Количество их на каждые 1000 транспортных единиц сократилось на 12,1 процента, а погибших в происшествиях на 1000 единиц уменьшилось на 22,2 процента.**

Один из самых многочисленных и мобильных отрядов Министерства внутренних дел Грузии, республиканская автомобильная инспекция, опираясь на накопленный опыт работы, используя максимум неисчерпанных еще возможностей, приложит все силы, чтобы успешно завершить последний год пятилетки и закрепить надолго свою высокую награду.

Были подведены также итоги республиканского социалистического соревнования среди подразделений ГАИ. По решению коллегии МВД Грузинской ССР по итогам соцсоревнования за 1984 год первое место и Диплом I степени присуждены ГАИ МВД Аджарской АССР (начальник — полковник милиции И. Джанелидзе), второе место и Диплом II степени — ГАИ УВД г. Кутаиси (начальник — капитан милиции Г. Зивзивадзе).

Среди ГАИ ГО РОВД победителем признана госавтоинспекция Сигнахского РОВД (начальник — капитан милиции О. Элизбарашвили), а среди экзаменационных отделений — РЭО Горийского ГОВД (начальник — майор милиции В. Хабелашвили).



# მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში

**თვეზე მეტია, რაც ძალაში შევიდა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.**

**იმასთან დაკავშირებით, თუ რა კეთდება ადგილებზე, ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის ვესაუბრეთ თელავის შს რაიგანყოფილების უბნის ინსპექტორს, მილიციის უფროს ლეიტენანტს ვ. აივაზოვს. აი, რა გვითხრა მან:**

**როცა** აქტივი, აგიტატორები თავიანთ სამუშაო უბნებზე ატარებენ საუბრებს, მშრომელებს განუმარტავენ, თუ რა ზიანი მოაქვს ალკოჰოლს ჯანმრთელობისათვის.

ასეთი მუშაობით უკვე მივაღწიეთ იმას, რომ მოსახლეობა ნებაყოფლობით გვაბარებს არყის სახდელ აპარატ-მოწყობილობას. რაც მთავარია მოსახლეობამ სწორად გაიგო პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებების მნიშვნელობა. სოფლის მშრომელებმა ინიციატივა გამოიჩინეს, უარი თქვეს არყის გამოხდაზე და კიდევაც გვეხმარებიან მუშაობაში.

განზრახული გვაქვს გამოსაფხიზლებლის მუშაკებთან ერთად სისტემატიურად ჩავატაროთ რეიდები ნაფარეულის ზონის სოფლებში.

კონტროლს ვუწევთ და ვამოწმებთ საზოგადოების თავშეყრის ადგილებს, რათა ადგილი არ ჰქონდეს ლოთობის თარეშს, ჩხუბს და აყალმაყალს. ამ ღონისძიების გატარების პერიოდში ზოგიერთნი მაინც ურჩობენ, ვერ ელევიან სასმელს, ასეთები არიან ნაფარეულელი გ. ნიაური და ბ. დუშმანიშვილი, სანივრელი თ. და რ. აივაზოვები, ხოლო ართანელი ქ. ნერგაძე უკვე გავგზავნეთ სამკურნალო პროფილაქტორიუმში.

დიდი ხანი არ არის, რაც მოქმედებს ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის კანონი მაგრამ უკვე იგრძნობა მისი დადებითი შედეგები. მცირდება სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულთა რიცხვი, ასევე ჩემს სამოქმედო ზონაშიც. ვფიქრობ, რომ ყველა უბნის ინსპექტორი დაკისრებულ საქმეს წარმატებით გაართმევს თავს, თუ მჭიდრო კავშირს დაამყარებს მოსახლეობასთან, სახლმმართველობებთან, სოფლის საბჭოებთან; თუ ის თითოეული ოჯახის, თითოეული პიროვნების დამხმარე იქნება.

**საუბარი ჩაიწერა თელავის სამედიცინო გამოსაფხიზლებლის მორიგე ინსპექტორმა, „მებრძოლი გუშაგის“ შტატგარეშე კორესპონდენტმა**

**ბ. ახალმოსულიშვილმა.**

ПИСЬМО В РЕДАКЦИЮ



# УЧАСТКОВЫЙ

Слово это прочно осталось и закрепилось в памяти людей десятки лет назад, когда участковых инспекторов милиции привыкли называть просто — «участковый».

Участковый — не просто должностное лицо, это человек, обязанный знать все и обо всех. Вот, бывало, спросишь у нашего старого инспектора, что за рыжий мальчуган живет на соседней улице.

— Ах, это тот, что стрелял на прошлой неделе из рогатки в уличные фонари. Пришлось идти разговаривать с родителями, — ответит, не раздумывая участковый. И так обо всех.

Мысль написать об участковом пришла мне в голову не случайно. Несколько дней назад пришлось позвонить инспектору в связи с беспорядками на одном из административных участков Первомайского района. И что же я услышал:

— Это не моя улица, а тот, кто Вам нужен, сейчас в отпуске...

А что еще больше удивило, мне предложили самому позвонить в исполком райсовета и даже снабдили нужным номером телефона. Не имеет смысла называть имя моего собеседника, так как случай этот типичный. Что же это получается? Участковый не уверен в своих правах или не знает о них? Или он просто не хочет утруждать себя лишними, незапланированными хлопотами?

Кстати, о планах. Говорить о настойчивости, принципиальности, заинтересованности в успехе дела не имеет смысла, если у участкового инспектора нет четкого распорядка дня. А если пожелает прийти к нему человек со своей бедой, посоветоваться, поговорить, и, не застав на месте дважды, больше не появится, потеряв всякую надежду. А ведь именно так и бывает: нередко у наших участковых не бывает строго установленных часов приема.

К сожалению, многие сегодняшние инспектора забыли о главном — не сделаешь дела, только лишь отсиживаясь на работе положенное время. Как же будешь знать обо всем, если не бывать ежедневно на участке?

Большую роль в этом играет и внештатный актив участкового, желательно, чтобы помощники участкового были в каждом из домов района. В этом и заключается так часто употребляемое на словах понятие о «профилактике преступлений», цель которой — предотвратить зло. Предотвратить уже сейчас, в зачатке, когда какой-нибудь рыжий или черноволосый мальчишка ломает стекла в соседних окнах, мучает кошку, убивает птиц...

Помочь может участковый и в семейных неурядицах. Выявить факты, заслуживающие внимание инспектора, помогают проводимые им собрания жильцов. Где, как не на общем собрании жителей одного или нескольких домов можно узнать больше, чем за неделю прогулок по участку: кто проживает без прописки, временно не работает, не соблюдает установленного законом порядка.

Напоследок хочется напомнить и о культуре участковых инспекторов. Обращение с людьми, манера говорить и, особенно, слушать — все это должно быть направлено на то, чтобы завоевать любовь и доверие людей. И высшей наградой для инспектора будет, если жители района будут относиться к нему с истинным уважением, про себя называя его просто — «наш участковый», человек, который хочет и обязательно может помочь во всем.

**Н. МАНДЖАГАЛАДЗЕ,**
**полковник милиции в отставке.**

# КОМЕНДАТУРА ДЕЙСТВУЕТ

**Комендатурой МВД Грузинской ССР и редакцией газеты «БОЕВОЙ СТРАЖ» был проведен совместный рейд по выявлению сотрудников органов внутренних дел республики, нарушающих правила ношения форменной одежды.**

**К сожалению, правила эти нередко нарушаются некоторыми сотрудниками органов и подразделений внутренних дел республики.**

**К примеру, участковый инспектор Ленинского РОВД г. Кутаиси старший лейтенант милиции К. С. Пхакадзе не только нарушил правила ношения форменной одежды, но и был пьян в рабочее время. А сотрудник Самтредского РОВД рядовой милиции Г. Я. Хеладзе явился на стадион в нетрезвом виде. Он попытался объяснить нам, что его нынешнее состояние — результат... зубной боли, устранить которую он был просто вынужден водкой! Неправда ли, оригинальное объяснение, особенно для сотрудника милиции.**

**Еще большим оригиналом оказался инспектор спецприемника УВД г. Кутаиси, младший сержант милиции С. А. Месхи. Он сам себе досрочно «присвоил» звание лейтенанта, о чем свидетельствовали погоны на форменной одежде.**

**А весь список сотрудников, имевших неопрятный вид на своем рабочем месте и нарушивших правила ношения форменной одежды, довольно внушителен, особенно, если учесть, что рейд провели всего в одном районе республики. В него попали такие ответственные работники, как заместитель начальника Автозаводского РОВД г. Кутаиси капитан милиции О. Д. Киладзе, оперуполномоченный ОУР Ленинского РОВД г. Кутаиси лейтенант милиции Б. С. Болквадзе, инспектор ГАИ УВД г. Кутаиси старший лейтенант милиции К. А. Габуния, сотрудники УВД лейтенанты милиции Т. И. Бакашвили и Ч. Р. Дейсадзе, участковый инспектор Сачхерского РОВД старший лейтенант милиции Т. Г. Азаурашвили, участковые инспектора Чиатурского ГОВД старшие лейтенанты милиции А. А. Джапаридзе и Г. Н. Цуцкиридзе, сотрудник того же РОВД лейтенант милиции А. Б. Иобашвили, инспектор БХСС Ванского РОВД капитан милиции А. Т. Хурцидзе, участковый инспектор Самтредского РОВД лейтенант милиции Д. О. Кохреидзе, старший инспектор ГАИ УВД г. Кутаиси старший лейтенант милиции М. С. Мамардашвили, сотрудники Ткибульского ГОВД сержант милиции М. Б. Кублашвили и рядовой милиции Ж. Ш. Георгадзе.**

**РЕЙДОВАЯ БРИГАДА.**

**ОТ РЕДАКЦИИ:**

**Нас интересует мнение руководителей тех служб и подразделений, где работают упомянутые нарушители — как расценить подобного рода отношение к своим служебным обязанностям и какова форма борьбы с искоренением указанных фактов.**

30 июня в поезде № 601 Зугдиди — Тбилиси у гражданина И. А. Чания была совершена кража денег в сумме 934 рублей. Несмотря на присутствие попутчиков, преступникам удалось временно скрыться. Казалось, что дальнейшие поиски их бесполезны..

Однако совершенно случайно в том же вагоне поезда оказался слушатель III курса Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР, возвращавшийся из кратковременного отпуска Нугзар Жвания, который быстро сориентировался в создавшейся ситуации. Благодаря умелым и энергичным действиям Жвания и подоспевших позже сотрудников ЛОВД станции Хашури, преступники Хурсадзе и Гарзелиани были задержаны. Радость была двойной — ведь Нугзару впервые представился случай претворить в жизнь то, чему он настойчиво учился в высшей школе. Потерпевшему гражданину Чания были возвращены похищенные деньги. В знак признательности он обратился к руководству Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР и поблагодарил за воспитание честных, умеющих постоять за интересы советских граждан, сотрудников милиции.

# СКРЫТЬСЯ НЕ УДАЛОСЬ

Благодарственное письмо в высшую школу поступило и от руководства Грузинского управления внутренних дел на транспорте. За умелые действия, оперативность и находчивость при задержании преступников слушатель Н. Жвания поощрен приказом начальника факультета.

**А. КУПАТАДЗЕ,**
**старший инструктор политчасти Тбилисского факультета Московской высшей школы милиции МВД СССР, старший лейтенант милиции.**

# ტექნიკის სიახლენი

## ცეცხლსაქრობი აპარატი

ს. ორჯონიკიძის სახელობის მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის პროექტის და ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით დამზადდა ცეცხლსაქრობ „ტემპის“ საცდელი პარტია. აპარატს აქვს შეკუმშული ჰაერის შესანახი რეზერვუარი და ქაფწარმომქმნელი სითხის ხსნარისათვის 4 ლ ტევადობის ორი ბალონი. აპარატი მაგრდება ზურგზე სამხრე და სარტყლის ღვედების სწრაფშესაკრავი აბზინდებით. ცეცხლსაქრობში გამოყენებულია ორსაფეხურიანი ტუმბო ქაფწარმომქმნელი სითხის მისაწოდებლად. აპარატის უწყვეტი მოქმედების ხანგრძლივობაა 45 წამი. ერთ წამში უშვებს 50 ლ ქაფს. დამუხტული აპარატის მასაა 19 კგ. ცეცხლსაქრობის ჩართვა და გამორთვა ხდება ხელით, ბერკეტის საშუალებით.

## უბრალოდ რეზინი

მსუბუქი ავტომობილის მძღოლები უხერხულობას განიცდიან უსაფრთხოების ქამრების ექსპლუატაციის დროს ამიტომაც ხშირად არ იყენებენ მათ, რითაც თავს საფრთხეში იგდებენ. ზოგჯერ ქამრები მგზავრებს ფეხებში ედებათ ან იხლართება კარებში. ყოველივე ამ უხერხულობას თავიდან აგვაცილებს რეზინი, რომელიც ჰიმავს ქამარს იატაკიდან.

ძველი კამერისაგან გამოჭრილი რეზინი, რომლის სიგრძეა 35-40 სმ, სიგანე კი 1-2 სმ ძაფით ან რბილი მავთულით მაგრდება ქამარზე. სიმტკიცისათვის რეზინის ბოლოს აორმაგებენ.

## ასწავლის... რობოტი

აშშ-ს ერთ-ერთმა ფირმამ გამოუშვა რობოტები, რომლებიც გამოიყენება ბავშვებისათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების შესწავლისათვის. რობოტი რომლის სიმაღლეა ერთი მეტრი მოძრაობს მინი ელექტროგამომრთველი მოწყობილობით. ეს იმის საშუალებას იძლევა რომ რობოტმა იმოძრაოს სხვადასხვა სიჩქარით და მიმართულებით, მსმენელებს გააცნოს სახანძრო უსაფრთხოების წესები, რომელიც ჩაწერილია მაგნიტოფონზე. მეტი ეფექტისათვის რობოტის „თავზე“ ინთება ფერადი ნათურები. გამოდის ორი სახეობის რობოტი- სახანძრო გიდრანტით და ცეცხლსაქრობით „ხელში“.

# СПОРТ—В НАШИ РЯДЫ

В органах и подразделениях внутренних дел республики все больше внимания уделяется физическому воспитанию личного состава, все больше становится сотрудников, охваченных в различные секции.

В Гардабанском РОВД работает много сотрудников, имеющих спортивные титулы и разряды. Гела Шинджикашвили, участковый инспектор ИДН, лейтенант милиции — неоднократный призер чемпионата МВД ГССР по дзю-до и вольной борьбе, Низам Алиев, участковый инспектор, старший лейтенант милиции — член сборной Грузии по многоборью и многие другие.

Хороших слов заслуживает футбольная команда райотдела, которая на протяжении двух лет удерживает лидерство в районном масштабе. Тренирует команду бывший призер чемпионата республики по борьбе, кандидат в мастера спорта, начальник паспортного отделения майор милиции Я. Кватадзе. А недавно команда заняла II место в зональных соревнованиях по многоборью и награждена Почетной грамотой Грузсовета «Динамо».

**НА СНИМКЕ: футбольная команда-победительница района.**



სარედაქციო კოლეგია
РЕДКОЛЛЕГИЯ

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-1-41-24. Наш адрес: 380025. ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. УЭ 08807.